დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2020 წლის 20 ნოემბრის N 02-09/194 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (ქართული და უცხოური წარმოების ფილმების სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

საკონკურსო პირობები"

1. ქართული ფილმებისათვის:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყბელის აჭარის ტელევიზია და რადიო" შეისყიდის ქართული ფილმების საჯარო გადაცემის ლიცენზიას:

- ლიცენზიის მოქმედების ვადა: არანაკლებ 6 თვე, არაუმეტეს 5 ფილმზე - 3 თვე.
- საჯარო გადაცემის რაოდენობა: ორჯერადი საჯარო გადაცემა (ერთი გამეორებით ყოველი ჩვენების შემდგომ)
- საჯარო გადაცემის უფლების სავარაუდო პერიოდი - 2020 წლის დეკემბრიდან - 2021 წლის ილისამდე.
- კონკურსში მონაწილე ვალდებულია წინამდებარე საკონკურსო განაცხადის დანართში მითითებული ფილმებიდან (61 ფილმი. იხ.დანართი) წარმოადგინოს 40 ფილმის სია, რომელზეც აიღებს ვალდებულებას რომ შეძლებს/აქვს მაუწყებლისათვის საჯარო გადაცემის ლიცენზიის გადაცემას.
- განმცხადებელს უნდა ჰქონდეს შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში საჯარო გადაცემის უფლების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება არაუგვიანეს ფილმების მოწოდების დღისა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
- კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მაუწყებელი კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი 61 ფილმიდან შეისყიდის არანაკლებ 40 ფილმის (სერიების ჩათვლით) საჯარო გადაცემის უფლებას.

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამარჯვებული ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი ხარისხის და ფორმატის ქართული ფილმები:

- ხარისხი: თანამედროვე ქართული ფილმები - აღიარებული სტანდარტის (მაღალი ხარისხი) შესაბამისი ხარისხი. ძველი ქართული ფილმების ხარისხი - მისაღები ხარისხი.
- ფორმატი: Full HD 1920X 1080 I 25 fps.Mpeg;
- ფილმები უნდა იქნას მოწოდებული მყარ დისკზე (HDD). დისკი მიწოდების შემდეგ წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას;

ერთი ქართული სრულმეტრაჟიანი ფილმის ლიცენზიის ღირებულებისათვის განსაზღვრულია არაუმეტეს 690 (ექვსას ოთხმოცდაათი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების/გადასახდელების ჩათვლით. თუ ფილმი შედგება სერიებისგან, თანხა გადაიხდება თითოეული სერიისათვის.

2. უცხოური წარმოების ფილმებისათვის:

შესაძენი ფილმების სავარაუდო რაოდენობა - 30 (ოცდაათი) ერთეული.

საჯარო გადაცემის რაოდენობა: ორი ჩვენება და ერთი გამეორება ყოველი ჩვენების შემდგომ.

საჯარო გადაცემის უფლების სავარაუდო პერიოდი - 2020 წლის დეკემბრიდან - 2021 წლის დეკემბრამდე.

ლიცენზიის ვადა: არანაკლებ 1 წელი.

კრიტერიუმები:

- ფილმის შექმნაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ორ ან მეტ კინემატოგრაფიაში მოღვაწე ცნობილ ადამიანს;
- ფილმს მოპოვებული უნდა ჰქონდეს სხვადასხვა მსოფლიო ფესტივალ(ებ)ის ჯილდო(ები);
- ფილმს გაქირავების შედეგად მოპოვებული უნდა ჰქოდეს 1(ერთი) მილიონ დოლარზე მეტი;
- ფილმის ჟანრი: სათავგადასავლო, კომედია, საოჯახო, მელოდრამა, ისტორიული, დრამა, დეტექტივი;
- 5-6 ფილმი საახალწლო თემატიკის.
- ფილმის გადაღების თარიღი: 2005-2020 წწ.
- ფილმი გახმოვანებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორ ხმაში .

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი ფილმი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ერთი უცხოური წარმოების ფილმის ლიცენზიის ღირებულებისათვის განსაზღვრულია 1850 (ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების/გადასახდელების ჩათვლით. თუ ფილმი შედგება სერიებისგან, თანხა გადაიხდება თითოეული სერიისათვის.

კონკურში მონაწილეობის მიზნით, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.
   განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" დირექტორის გიორგი კოხრეიძეს სახელზე.
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
3. შემოთავაზებული ფილმების სია, შესაბამისი ფასის მითითებით.
4. საჯარო გადაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

განცხადების წარმოდგენის ვადები:

განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2020 წლის 20 ნოემბერი .

განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი

მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520

საკონკურსო პირობების დანართი

ფილმების სია (რეჟისორის მითითებით):

1.„დაკარგული სამოთხე“-(**დავით რონდელი**)

2. „მანანა“ –(**ზაქარია გუდავაძე, შალვა მარტაშვილი**)

3 .“თხუნელა“-(**შალვა მარტაშვილი**)

4.„ცისფერი მთები“ (**ელდარ შენგელაია**)

5.„არაჩვეულებრივი გამოფენა“- **ელდარ შენგელაია**

6.“სავარძელი“-(**ელდარ შენგელაია**)(**კომ**)

7.“ვერის უბნის მელოდიები“ (**გიორგი შენგელაია**)

8.“ალავერდობა“- (**გიორგი შენგელაია**) (მოკლემეტრაჟიანი)

9.“სხვისი შვილები“ (**თენგიზ აბულაძე**)

10.“მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (**თენგიზ აბულაძე**)

11.“წარსული ზაფხული“-(**ნელი ნენოვა**)

12.„ნერგები“ -(**რეზო ჩხეიძე**)

13. “ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“(**ნიკოლოზ სანიშვილი**)

14. “ჩარი-რამა“-(**ნიკოლოზ სანიშვილი**)

15. “შეხვედრა მთაში“-(**ნიკოლოზ სანიშვილი**)

16.„რაჭა ჩემო სიყვარულო“-(**თ. ფალავანდიშვილი**)

17.“ოჰ, ეს საშინელი ტელევიზორი“-(**თ. ფალავანდიშვილი**)

18.“ჯადოსნური ღამე“-(**ფალავანდიშვილი**)

19.“გარიგება“-1 (**ზაზა კოლელიშვილი**)

20.“წერილი ნაძვებს“-(**დოდო ჩალაძე**)

21.”გიორგი სააკაძე“-(**მიხეილ ჭიაურელი**)

22.“ნეილონის ნაძვის ხე“-(**რეზო ესაძე**)

23.“მოიტაცეს თამარ ქალი“(**ლეილა გორდელაძე**)

24.“ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“**(გია მატარაძე)**

25.“ლუარსაბ თათქარიძე“-**(ალექსანდრე ნინუა)(1989)**(თენგიზ ჩანტლაძის მონაწილეობთ)

26.“სათადარიგო ბორბალი“-**(ალექსანდრე დარახველიძე)**(მოკლემეტრაჟიანი)

27.“ფეოლა“**(ბაადურ წულაძე)**(მოკლემეტრაჟიანი)

28.“კუჩხი ბედინერი“-**(გურამ პატარაია)** (მოკლემეტრაჟიანი)

29.„ქორწილი“ (მოკლემეტრჟიანი)**(მ. კობახიძე)**

30.“ცისკარა“-**(სერგო ჭელიძე)**-ზღაპარი

31.“უკვდავების თეთრი ვარდი’-**(ნანა მჭედლიძე)** ზღაპარი

32.„ფესვები“ **(ი. ბილანიშვილი)**

33“აკაკის აკვანი“-**კონსტანტინე პიპინაშვილი**

34.“დიდოსტატის მარჯვენა“-**ვახტანგ ტაბლიაშვილი**

35.„ექვთიმე ღვთისკაცი“-**ნ. ხომასურიძე**

36.“აურზაური სალხინეთში“-**(ლანა ღოღობერიძე)**

37.“რამოდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“-**(ლანა ღოღობერიძე)**

38.“როცა აყვავდა ნუში“ **(ლანა ღოღობერიძე)**

39. „შინდისი“-**(დიტო ცინცაძე)**

40. „გაღმა ნაპირი“-**(გიორგი ოვაშვილი)**

41. “ სიმინდის კუნძული“-**(გიორგი ოვაშვილი)**

42.“მანდარინები“-**(ზაზა ურუშაძე)**

43.“დარჩი ჩემთან“-**(ზაზა ურუშაძე)**

44.“ვისი სული გსურს“-**(დავით იმედაშვილი)**

45.“ოცნების ქალაქი“-**(დავით იმედაშვილი)**

46.“რაც ყველაზე ძალიან გიყვარს“-**(გიორგი ლიფონავა)**

47.“ხუთი ნახვით შეყვარება“-**(ნიკა რამიშვილი)**

48.“ბატონი ავანტიურისტები“-**(ბიძინა ჩხეიძე)**

49.“ზალანსი ანუ ჩაო ჯორდანო“-(**გია კაჭარავა**)

50. “თოჯინების ქალაქი“-(**გია კაჭარავა**)

51. “მაიტა ნასოსი“-(**გია კაჭარავა**)

52. “თბილისი-პარიზი-თბილისი“- (**ლეილა აბაშიძე**)

53. “იყო შაშვი მგალობელი“-(**ოთარ იოსელიანი**)

54.“ლონდრე“-(**თამაზ მელიავა**)

55.“მაცივარში ვიღაც იჯდა“-(**გუგული მგელაძე**)

56.“საფეხური“-(**ალექსანდრე რეხვიაშვილი**)

57.“სინემა“-(**ლიანა ელიავა**)

58.“ყვარყვარე“-(**დევი აბაშიძე**)

59.“გამოაღეთ ფანჯრები“-(**დევი აბაშიძე**) (**მუსიკ**)

60.“ჭიდაობას რა უნდა“-(**მიხეილ ჭიაურელი**)

61. „შანტრაპა“ (**ოთარ იოსელიანი**)